

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო
პროგრამის კურსდამთავრებულთა
დასაქმების მაჩვენებლის კვლევა

1. შესავალი

„კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის კვლევა“ ჩატარდა 2017 წლის მაისში. მასში მონაწილეობა მიიღეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის 2013-2017 წლის კურსდამთავრებულებმა. რაოდენობრივი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა:

- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო 5 წლის განმავლობაში)
- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში)

ანგარიშში წარმოდგენილია მოპოვებული მონაცემების ჯამური სურათი.

2. კვლევის დიზაინი

2.1 კვლევის მეთოდი

კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კვლევისთვის საინტერესო ძირითადი საკითხების შესწავლისათვის რაოდენობრივი კვლევის მეთოდის შერჩევა განპირობებული იყო საკვლევი საკითხების შესახებ სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოგროვების საჭიროებით.

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა სოციალური ქსელის (ფეისბუქის) გამოყენებით. კვლევის სამიზნე აუდიტორიის საკვლევად სოციალური ქსელი ტექნიკა შეირჩა რამდენიმე მიზეზის გამო. სოციალური ქსელის მეშვეობით საჭირო ინფორმაციის შეგროვება შესაძლებელია ხანმოკლე პერიოდში არ არის საჭირო ინტერვიუერის მზავრობისა და სავსე სამუშაოებისათვის დამატებითი ხარჯების გაღება, ამასთან ერთად თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში სოციალური ქსელი ინფორმაციის მიღების უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომი საშუალებაა.

2.3 კვლევის ინსტრუმენტი

კვლევის მიზნების შესაბამისად შემუშავდა რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი. მოკლედ კითხვარი შედგებოდა შემდეგი კითხვისგან:


1. ხართ თუ არა დასაქმებული?
2. რომელ ორგანიზაციაში და და რა პოზიციაზე დასაქმდით?
3. ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ გააგრძელეთ თუ არა სწავლა?

2.4 შერჩევის დიზაინი

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე სამიზნე სეგმენტად განისაზღვრა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის წლის კურსდამთავრებულები. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოიკითხვა კურსდამთავრებულთა 51%.


3. კვლევის შედეგები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო კურსდამთავრებულთა 51%-მა (სულ დაამთავრა 248 კვლევაში ჩაერთო 128 კურსდამთავრებული)




- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელია (ბოლო 5 წლის განმავლობაში)- 39% (98 დასაქმებული)


დასაქმების მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში



- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო 5 წლის განმავლობაში) -69% (68 კურსდამთავრებული)




- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) -6.8% (17 კურსდამთავრებული)




როგორც მოგეხსენებათ კვლევაში ჩაერთო კურსდამთავრებულთა 51%

- კვლევაში ჩართულ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელია (ბოლო 5 წლის განმავლობაში)- 76% (კვლევაში ჩაერთო 128 კურსდამთავრებული აქედან 98 დასაქმდა)



- კვლევაში ჩართულ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო 5 წლის განმავლობაში) -69% (68 კურსდამთავრებული)



- კვლევაში ჩართულ კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) -13% (17 კურსდამთავრებული)

